ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3792578

ნომერი: AR1571979

თარიღი : 22.01.2018

გაცემის თარიღი : 06.02.2018

გაცნობის თარიღი : 14.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯამბული , N 5 / ქალაქი თბილისი , ვირსალაძის ქუჩაზე N8 და N10 სახლებს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ვანიშვილი პ/ნ 59001013409
- ვაჟა-ფშაველას 79/159

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1571979 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.15.04.008.030 საკადასტრო ერთეულზე გაცემული შემდეგი სახის აქტები:

2016 წლის 20 აპრილის #2551170 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მინით დადგინდა

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (ოქმი N18,05.05.2016 წ), გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, ჯამბულის ქ. N5/ვირსალაძის ქ. N8 და N10 სახლებს შორის, #01.15.04.008.030 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზის (პირველი ვარიანტი) წინასწარი შეთანხმების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.(2016 წლის 03 ივნისის #2583033 გადაწყვეტილება.)

2016 წლის 21 ივნისის #2637574 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

2017 წლის 02 მარტის #3112840 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის #2551170 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა სასტუმრო; საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებად დაფიქსირდა საზოგადოებრივი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის #2551170 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნა შემდეგი ჩანაწერი: „ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა: საცხოვრებელ სახლში ერთ ბინაზე განკუთვნილი იყოს მინიმუმ ერთი ავტოფარეხი“; დაემატა დოკუმენტაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #1-460 (24.02.17წ.); წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის #2551170 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2017 წლის 09 თებერვლის #6 სხდომის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ ქ. თბილისში, #01.15.04.008.030 საკადასტრო ერთეულზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია და გაიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 მარტის #1–481 ბრძანება.(#3106241, 20.03.17წ წერილი)

2017 წლის 25 აპრილის #3222929 ბრძანებით ქ. თბილისში, ჯამბულის ქ. N5/ვირსალაძის ქუჩაზე N8 და N10 სახლებს შორის, შპს ნნ ინვესტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.15.04.008.030) შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2017 წლის 06 ივნისის #3306837 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე შეთანხმებული სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (#3222929, 25.04.17წ) საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 12 სექტემბრის #3533310 ბრძანებით ქ. თბილისში, ჯამბულის ქ. N5/ვირსალაძის ქუჩაზე N8 და N10 სახლებს შორის, შპს ნნ ინვესტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.15.04.008.030) კვლავ შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

სამსახურის მიერ #2551170; #2583033; #2637574; #3112840; #3222929; 3306837; #3533310; #3106241 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ჟ. შარტავას ქ. #7)

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.